საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის პირველი აპრილი. მე, ნოტარიუსს თამარ დადვანს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. 12 მიმდებარედ, მომმართეს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა, **შპს ,,ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს (რეგისტრირებული 2016 წლის 22 თებერვალს, საიდენტიფიკაციო კოდი: 404508724, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 5, ბ. 35, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) დირექტორებმა: მამუკა ფილიამ (დაბადებული 08.04.1967 წელს თბილისი, პირადი N 01017019979, მისამართი: თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 5 ბ. 35) და გიორგი ქუთათელაძემ (დაბადებული 26.11.1965 წელს, ხონი, პირადი N 01007008397, მისამართი: თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 99 ბ. 16),** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **შპს ,,ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს** შესახებ, მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.reestri.gov.ge განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16081715, 25/05/2016 12:27:50.

მათ მთხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე შევადგინე წინამდებარე მინდობილობა და წავუკითხე მათ, განვუმატრე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ პირადად წაიკითხეს მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ზუსტად გამოხატავს მათი, როგორც **შპს ,,ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს** დირექტორების ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას, რის შემდეგაც დავადასტურე წინამდებარე მინდობილობა სანოტარო წესით.

მინდობილობა

ორიათას ჩვიდმეტი წლის თხუთმეტი მარტი. ჩვენ, **შპს ,,ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს** დირექტორებმა, **მამუკა ფილიამ და გიორგი ქუთათელაძემ** წინამდებარე მინდობილობით **შპს ,,ზ1"-ს და მის დირექტორს ზურაბ მერებაშვილს (დაბადებული 07.11.1974 წელს, გორი, პირადი N 59001003197, მისამართი: გორი გ.ცაბაძის ქ. N 7 ბ. 29)** მივანიჭეთ შემდეგი უფლებამოსილება:

1. იყოს **შპს ,,ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს** წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელწიფო ორგანიზაციაში, მათ შორის ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში, რათა აწარმოოს მშენებლობასა და პრექტირებაზე ნებართვის მიღების საქმეები. შეიტანოს ჩვენი სახლით განცხადება, მოაწეროს ხელი, განახორციელოს პროექტირება, რეგისტარცია და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი.
2. მას უფლება არა აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირებს.
3. **მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.**
5. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ დადვანის სანოტარო არქივში და დანართის სახით თან ერთვის:

- ✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16081715, 25/05/2016 12:27:50.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 10.00 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N 507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2.00 (ორი) ლარი თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე **მუხლის. სულ გადახდილია: 12.00 (თორმეტი) ლარი.**

შპს ,,ემ-ემ-ჯი ჯგუფი"-ს დირექტორები:

მამუკა ფილია ---------- მამუკა ფილია ----------

გიორგი ქუთათელაძე ---------- გიორგი ქუთათელაძე ----------

ნოტარიუსი [illegible] თამარ დადვანი

საქართველო. ნოტარიუსი თამარ დადვანი GEORGIA. NOTARY TAMAR DADVANI ნოტარიუს თამარ დადვანი 204154

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

29476019648917

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170334576

რეგისტრაციის თარიღი

01.04.2017 წ

ნოტარიუსი: თამარ დადვანი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მკ/რ, კორპ.12 მიმდებარედ

ტელეფონი: 593374689

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge

ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

KA021781962577617

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/18293

13 / აპრილი / 2017 წ.

შპს „ემ-ემ-ჯი ჯგუფი“-ს დირექტორს,
გია ქუთათელაძეს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 29.03.2017წ. N25870/ფ და 07.04.2017წ. N29620/ფ განცხადებების პასუხად, რომლებითაც დასმულია საკითხი ქალაქ თბილისში, N01.11.12.005.181 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1865 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 127 კვ.მ. სერვიტუტის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილ საპროექტო შენობა-ნაგებობაზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ღია თაღის (ე.წ. არკის) მოწყობაზე თანხმობის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისში, N01.11.12.005.181 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 1865 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე დატანილი სერვიტუტის უფლების მქონე 127 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე დაგეგმილ საპროექტო შენობა-ნაგებობაზე, თქვენ მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელდეს ღია თაღის (ე.წ. არკის) მოწყობა, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, არ უნდა შეიზღუდოს N01.11.12.005.181 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1865 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან სერვიტუტის უფლებით დატვირთული 127 კვ.მ. მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება და ზემოაღნიშნული ქმედება უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების და წესების სრული დაცვით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე ეკატერინე სისაური